



პროექტი ზრდა საქართველოში  
ZRDA ACTIVITY IN GEORGIA



# PRESS RELEASE

## გავრცელდეს დაუყოვნებლივ

2 ოქტომბერი, 2018

დამატებითი ინფორმაციისათვის მიმართეთ:  
სამეგრელო-ზემო სვანეთის გუბერნატორის  
პრესსამსახურის უფროსს ლიკა ქვარცხავას  
+995 599644744 [lika.kvartskhava@yahoo.com](mailto:lika.kvartskhava@yahoo.com)

USAID Zrda:

ქეთი რეხვიაშვილს, კომუნიკაციების მენეჯერი  
+995 599) 095 111 [krekhvashvili@zrda.ge](mailto:krekhvashvili@zrda.ge)

**USAID-ის პროექტი Zrda და საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია, სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეო ადმინისტრაციის მხარდაჭერით, მასპინძლობს სამეგრელო-ზემო სვანეთის ტურიზმის განვითარების რეგიონულ სიმპოზიუმს**

**ანაკლია, სასტუმრო „ოქროს საწმისი“** – 2018 წლის 2 ოქტომბერს, USAID Zrda-ს ხელმძღვანელმა ბრაიან კინგმა და სამეგრელო-ზემო სვანეთის გუბერნატორმა ალექსანდრე მონერელიამ, USAID საქართველოს წარმომადგენელთან დავით წიკლაურთან და ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მოადგილის მოვალეობის შემსრულებელთან თორნიკე ზირაქიშვილთან ერთად გახსნეს სამეგრელო-ზემო სვანეთის ტურიზმის განვითარების რეგიონული სიმპოზიუმი. სიმპოზიუმის მიზანია განსაზღვროს რეგიონში ტურიზმის განვითარებასთან დაკავშირებული პრობლემები და გამოწვევები და დაადგინოს პრიორიტეტები, რაც ხელს შეუწყობს რეგიონის პოპულარიზაციას და მის უკეთ წარმოჩენას, როგორც საქართველოს ერთ-ერთ საუკეთესო ტურისტულ რეგიონს.

სამეგრელო-ზემო სვანეთის ტურიზმის სიმპოზიუმი რეგიონის ტურიზმის განვითარების სამუშაო ჯგუფის პირველი ინიციატივაა, რომელიც წლის ბოლომდე ტურიზმის რეგიონული მართვის ორგანიზაციად (DMO) ჩამოყალიბდება. USAID Zrda-მ, საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციისა და სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეო ადმინისტრაციის მხარდაჭერით, დააარსა სამუშაო ჯგუფი, რომლის მიზანიც სამეგრელოს ტურიზმის განვითარების მოდელის შექმნის ხელშეწყობა და მისი პოპულარიზაციაა. მოდელი ყურადღებას ამახვილებს აგრო, ეკო, სათავგადასავლო და კუტურულ ტურიზმზე და პროცესში მონაწილე მხარეებს შორის თანამშრომლობისა და კოორდინაციის განვითარებაზე.

რეგიონში ტურიზმის განვითარების მხარდასაჭერად Zrda ხელს უწყობს ახალი ტურისტული პროდუქტის შემუშავებას, ახალი ტურისტული ობიექტების და ღირშესანიშნაობების პოპულარიზაციასა და ტურიზმის სექტორში ჩართული მხარეების ხარისხის საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობის გაუმჯობესებას კომპლექსური მიდგომის გამოყენებით. USAID/Zrda-ს ძალისხმევით შედგება, პროექტის სამიზნე რეგიონებში მდებარე 415-მა საოჯახო სასტუმრომ და კაფე/რესტორანმა, მათ შორის 207-მა სამეგრელო-ზემო სვანეთში ისარგებლა ციფრული მარკეტინგის ტრენინგებით და დარეგისტრირდა Booking.com-ზე, Airbnb.com-ზე და TripAdvisor-ზე. Zrda-ს მხარდაჭერით, სამეგრელოსა და საქართველოს სხვა რეგიონებში ჩატარდა საინფორმაციო და მედია ტურები, გაიზარდა რეგიონებში არსებული ტურისტული ობიექტების ცნობადობა და ვიზიტორ-დამსვენებლის მაჩვენებელი.

USAID Zrda მრავალგზის უწყობს ხელს სათავგადასავლო ტურიზმის განვითარებას სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში. პროექტის დახმარებით 60 ვიდი და ინსტრუქტორი გადამზადდა კანინონგის, ჯომარდობის, საფეხმავლო გამყოლებისა და დაივინგის დისციპლინებში. ამასთან, Zrda-ს და ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ერთობლივი ძალისხმევით განხორციელდა სამეგრელო-ზემო სვანეთის



პროექტი ზრდა სამართმელოში  
ZRDA ACTIVITY IN GEORGIA



რეგიონში მარკირებული საფეხმავლო მარშრუტების ამსახველი 38 ელ-რუკის განთავსება საერთაშორისო საძიებო სისტემაზე [www.wikiloc.com](http://www.wikiloc.com), რომელიც დიდი პოპულარობით სარგებლობს სათავგადასავლო ტურიზმით დაინტერესებულთა შორის. აღნიშნულმა ინიციატივებმა ხელი შეუწყო ტურისტულ ინდუსტრიაში ჩართული ადგილობრივი სუბიექტების შემოსავლების ზრდას და განვითარებას.

**USAID-ის მიერ დაფინანსებული პროექტი ზრდა** არის ხუთწლიანი პროგრამა, რომელიც მიზნად ისახავს მდგრადი ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობას საქართველოს ხუთი რეგიონის 81 თემში. გეოლოგიური მისაღწევად, პროექტი განახორციელებს შემდეგ ინიციატივებს: მიკრო, მცირე და საშუალო სანარმოების განვითარება; სოფლის მეურნეობის შემოსავლების ზრდის ხელშეწყობა; მენარმეებსა და მყიდველებს შორის საბაზრო ურთიერთობების ჩამოყალიბება და განვითარება; ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობა ბიზნესკავშირების დამყარებისა და გაძლიერების მეშვეობით. პროექტი მოიცავს ადმინისტრაციული საზღვრისპირა და ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ თემებს. პროექტის განხორციელების შედეგად სამიზნე თემებში შეიქმნება სამუშაო ადგილები, ოჯახებს გაეზრდებათ შემოსავლები და მნიშვნელოვნად გაძლიერდება ადგილობრივი მოსახლეობის ეკონომიკური მდგომარეობა. დამატებითი ინფორმაციისათვის ეწვიეთ: <https://www.facebook.com/zrda.ge>; [www.zrda.ge](http://www.zrda.ge)

**USAID-ის საქმიანობის შესახებ საქართველოში:** უკანასკნელი 26 წლის განმავლობაში ამერიკელმა ხალხმა USAID-ის საშუალებით 1.5 მილიარდ აშშ დოლარზე მეტი თანხის ინვესტიცია განახორციელა საქართველოში. პროექტები, რომელთა მიზანია დახმარება გაუწიოს საქართველოს თავისუფალი და განვითარებული დემოკრატიის მშენებლობაში, მოიცავს შემდეგ მიმართულებებს: ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობა, დემოკრატიული ინსტიტუტების განვითარება და ჯანდაცვისა და განათლების სისტემების გაუმჯობესება. USAID-ი ეკონომიკურ და ჰუმანიტარულ დახმარებას უწევს 100-ზე მეტ ქვეყანას. დამატებითი ინფორმაციისათვის ეწვიეთ: <https://www.usaid.gov/georgia>